

# ბიზნეს სუბიექტები... 2016 (1)

სტატისტიკური და ანალიტიკური რელიზი

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალური მონაცემებით, 2016 წლის იანვრის თვეში ქვეყანაში რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობამ 2 812 ერთეული შეადგინა, რომელთა შორის 97.2% სამეწარმეო სუბიექტია (ინდივიდუალური მეწარმე, სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება, კომანდიტური საზოგადოება, კოოპერატივი, უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი), ხოლო 2.8% - არასამეწარმეო სუბიექტი (არასამეწარმეო იურიდიული პირი, უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი, საჯარო სამართლის იურიდიული პირი). ამავე თვეში ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) 0.642 დონეზე დაფიქსირდა.

ა.წ. იანვრის თვეში დაფიქსირდა კლება როგორც წინა თვესთან (33.1%-ით), ასევე, წინა წლის იმავე თვესთან (16.9%-ით) შედარებით.

2016 წლის იანვრის თვეში წინა თვესთან შედარებით სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 32.9%-ით, ხოლო არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობა 39.1%-ით შემცირდა. ანალოგიური ტენდენცია დაფიქსირდა წინა წლის იმავე თვესთან შედარებით: სამეწარმეო სუბიექტების რაოდენობის კლება 16.5%-ით და არასამეწარმეო სუბიექტების რაოდენობის კლება 29.7%-ით.

ამავე თვეში ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი (დეკემბერი 2010=100) სამეწარმეო და არასამეწარმეო სუბიექტების მიხედვით შესაბამისად 0.643 და 0.614 დონეებზე დაფიქსირდა.

ა.წ. იანვრის თვეში ბიზნეს სუბიექტთა უმეტესობა დარეგისტრირდა ინდივიდუალური მეწარმის (1 419 ერთეული, ანუ რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა 50.5%) და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების (1 276 ერთეული, ანუ რეგისტრირებულ ბიზნეს სუბიექტთა 45.4%) სახით. როგორც ჩანს, ბიზნეს სუბიექტთა 95.8% მხოლოდ აღნიშნულ სამართლებრივ სტატუსებს ანიჭებს უპირატესობას. ამავე თვეში ქვეყანაში დარეგისტრირდა: 75 არასამეწარმეო იურიდიული პირი, 29 კოოპერატივი, 5 სააქციო საზოგადოება, 5 უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი და 3 უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი.

**P.S.** დამატებით იხილეთ:

(ა) ცხრილი - ბიზნესის რეგისტრაციის თვის სტატისტიკა... იანვარი, 2015-2016

(ბ) გრაფიკი - ბიზნესის რეგისტრაციის თვის დინამიკა... 2010-2016



© საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო  
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

**ბიზნესის რეგისტრაციის თვის სტატისტიკა  
იანვარი, 2015-2016**

ინდიკატორები	ზ.ე.	იანვარი	
		2015	2016
<b>რაოდენობა</b>			
სამეწარმეო სუბიექტები	ერთეული	3274	2734
არასამეწარმეო სუბიექტები	ერთეული	111	78
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	ერთეული	3385	2812
<b>სტრუქტურა</b>			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	96.7	97.2
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	3.3	2.8
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	100	100
<b>ზრდა/კლება წინა თვესთან შედარებით</b>			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	-15.0	-32.9
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	-28.8	-39.1
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	-15.6	-33.1
<b>ზრდა/კლება წინა წლის იმავე თვესთან შედარებით</b>			
სამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	-13.0	-16.5
არასამეწარმეო სუბიექტები	პროცენტი	-5.1	-29.7
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	პროცენტი	-12.8	-16.9
<b>ბიზნესის რეგისტრაციის თვის ინდექსი</b>			
სამეწარმეო სუბიექტები	კოეფიციენტი	0.770	0.643
არასამეწარმეო სუბიექტები	კოეფიციენტი	0.874	0.614
მთლიანად, ბიზნეს სუბიექტები	კოეფიციენტი	0.773	0.642
<b>რაოდენობა</b>			
ინდივიდუალური მეწარმე	ერთეული	1823	1419
სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთეული	0	0
კოოპერატივი	ერთეული	46	29
შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება	ერთეული	1395	1276
სააქციო საზოგადოება	ერთეული	7	5
კომანდიტური საზოგადოება	ერთეული	0	0
უცხოური სამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	ერთეული	3	5
არასამეწარმეო იურიდიული პირი	ერთეული	111	75
უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალი	ერთეული	0	3
საჯარო სამართლის იურიდიული პირი	ერთეული	0	0

წყარო: საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო, 2016

© ინფორმაციის გამოყენებისას საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტოს მითითება სავალდებულოა!

ბიზნეს სუბიექტების რეგისტრაციის თვის დინამიკა... 2010-2016

ახალი ბიზნეს სუბიექტები (ერთეული)

